



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 27 აპრილი

დისციპლინური საქმე №39/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 17 მარტის №39 საჩივარის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 22 მარტის №170/39-03 და 2022 წლის 5 აპრილის №221/39-03 წერილებით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი 2021 წლის 2 მარტის სარჩელი და მოპასუხის კერძო საჩივარი მოსამართლეს დღემდე არ განუხილია;

1.2. საჩივრის ავტორის აზრით, №-- განჩინება არის ბუნდოვანი, ვინაიდან მასში არაა ასახული ის ნორმა რომლითაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება. საჩივარში ასევე საუბარია, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ სარჩელის დასაშვებობის საკითხი განიხილა არსებითი განხილვის ბოლოს, ისე რომ არ მოიძია შესაბამისი სამართლის ნორმა;

1.3. ამასთან, მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრითობის პრინციპი და თავად მიიღო გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესის დაწყების, დავის საგნისა და პროცესის დასრულების შესახებ;

1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ არ მოახდინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება;

1.5. ასევე, განჩინებაში არ არის ასახული თუ რის საფუძველზე აქარწყლებენ მოპასუხეები სასარჩელო მოთხოვნას და დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი, კერძოდ მოპასუხე არ შეედავა მოსარჩელის მოთხოვნებს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2019 წლის 31 ოქტომბერს ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხეების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს --- და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს --- მიმართ.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის განჩინებით, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა:

შეწყდა №-- ადმინისტრაციული საქმის წარმოება, -- -- სარჩელის გამო, მოპასუხეების - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს -- -- მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების არარად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე, სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო. გაუქმდა -- -- სასამართლოს 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც, შეჩერდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 16 სექტემბრის №-- ბრძანების მოქმედება, მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე. გაუქმდა -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 11 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შეჩერდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 23 სექტემბრის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ №-- გადაწყვეტილების მოქმედება, რომლითაც სადავო უძრავი ქონება, საკადასტრო კოდით N--, დარეგისტრირდა სახელმწიფო საკუთრებად, მოცემულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის განჩინება, სააპელაციო წესით 2019 წლის 3 დეკემბერს გასაჩივრა -- --.

-- -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების

კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ №-- განჩინება არის ბუნდოვანი, ვინაიდან მასში არაა ასახული ის ნორმა რომლითაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება. საჩივარში საუბარია ასევე, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნები, სასამართლომ სარჩელის დასაშვებობის საკითხი განიხილა არსებითი განხილვის ბოლოს, ისე რომ არ მოიძია შესაბამისი სამართლის ნორმა (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნტი). უნდა აღინიშნოს, რომ -- -- სასამართლოს 2020 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებაში მოსამართლემ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-25-ე მუხლებით, შესაბამისად საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

ხოლო რაც შეეხება იმ საკითხს, სადაც მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრითობის პრინციპი და თავად მიიღო გადაწყვეტილება სამოქალაქო პროცესის დაწყების, დავის საგნისა და პროცესის დასრულების შესახებ (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. პუნტი), არ მოახდინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.4. პუნტი), ასევე განჩინებაში არ არის ასახული თუ რის საფუძველზე აქარწყლებენ მოპასუხეები სასარჩელო მოთხოვნას და დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი, კერძოდ მოპასუხე არ შეედავა მოსარჩელის მოთხოვნებს (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.5. პუნტი).

საჩივარში მითითებული გარემოებები შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად. შესაბამისად, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. --- 2022 წლის 17 მარტის №39 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2., 1.3., 1.4. და 1.5. პუნქტებით).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №39 დისციპლინურ საქმეზე --- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტით).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი